

საქართველო

ქრონოლოგიური თარიღის მითითებით - ქრონოლოგიური თარიღის მითითებით

ქრონოლოგიური თარიღის მითითებით

189

ყოველდღიური საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი.

№111 (1621)

1 იანვარი, 1997 წელი

ფასი 50 თეთრი

ქრონოლოგიური თარიღის მითითებით

მეორე ტომი ხალხს
ჩვენი თანამემამულეებო და თანამოქალაქეებო!
შევარდნადისა და მისი მომხრეების მმართველობის ქვე-
სნახევარმა წელმა ნათლად დაამტკიცა, რომ მათ არც უნარი
აქვთ და, აღბათ, არც სურვილი აქვთ, საქართველოს სასიც-
ოცხლო ინტერესები დაიცვან. მოსახლეობის ყველა ფენი-
სათვის ნათელი გახდა, რომ ხელისუფლებაში ამ ჯგუფის
ყოფნის პირობებში საქართველო ვერ ადავდებს თავის ოურის-
დიქციას დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე, ადგილიდან
არ დაიძვრება მკედარი ეკონომიკა, არ შემცირდება გავრე-
ბა, არ შესუსტდება სახელმწიფო სიმდიდრის განუკითხავი
დატაცება და განიაცება სახელმწიფო აპარატთან შეზღუდული
მაფიების მიერ. უფრო მეტიც, მზადდება ხელმოწერა რუსე-
თის მიერ შემოთავაზებულ „პროტოკოლზე“, რომელიც აფხ-
აზეთის დაკარგვას ნიშნავს, მზადდება საქართველოში „ოსე-
თის რესპუბლიკის“ შექმნა, რაც საქართველოს დამლის წინ-
ამძღვარია, მზადდება საქართველოში რუსეთის სამხედრო
ბაზების დაკანონება. შევარდნადისა და მისი ჯგუფის ხე-
ლისუფლების ყოველი დღე საქართველოს აახლოებს ო-
რიდულ, სტრატეგიულ და ტერიტორიულ კატასტროფასთან,
რომლის შედეგები გამოუსწორებელი იქნება.

შეგნებული გვაქვს რა ჩვენი თაობების პასუხისმგებლო-
ბა მომავალ თაობათა წინაშე, მოუწოდებთ ქართველ ერს და
საქართველოს ყველა ერთგულ მოქალაქეს ერთდროულად
ინსტრუქციას ჩვენი მხარის ბალსარჩენად შემდეგი
ხუთი პრინციპისა და ძირითადი ამოცანის საფუძველზე:
პირველი. საქართველომ არ უნდა დათმოს და საქართვე-
ლო არ დათმობს აფხაზეთს, რომელიც ქართველი ერის ის-
ტორიული ენიკური ტერიტორიაა კონკრეტულად, საქართველო
ვერ დაეთანხმება და არ დაეთანხმება დანარჩენ
საქართველოსთან აფხაზეთის დაკავშირებას კონფედერაციო-
ული ან მისი მისგაყვანილი წესით.

მეორე. საქართველომ არ უნდა დაუშვას, არამედ სრუ-
ლი კატეგორიული უნდა აღკვეთოს სამუდამოდ
საქართველოში „ოსეთად“ წოდებული ტერიტორიული პოლი-
ტიკური ერთეულის შექმნის მცდელობა, რადგან ეს უდრის
საქართველოს ტერიტორიის დაკარგვას ახლო მომავალში, ერთის
მხრივ და საქართველოს დანარჩენი ნაწილის დაშლას ახალ
ერთეულ ავტონომიებად, მეორეს მხრივ.

მესამე. საქართველომ უნდა გააუქმოს თავისი წევრობა
ნგ-ში, ანუ აღადგინოს თავისი სრული დამოუკიდებლობა,
რომელიც შეუთავსებელია ამ წევრობასთან.

მეოთხე. საქართველომ უნდა დაუყოვნებლივ გაიყვანოს
რუსეთის ჯარი თავისი ტერიტორიიდან, რათა მოცილოს ომის
მუდმივი საშიშროება გარეთ და რუსეთის სპეცსამსახურთა
მიერ ორგანიზებული სისხლიანი დესტაბილიზაციის მუდ-
მივი საფრთხე შეგნით.

მეხუთე. საქართველომ ოფიციალურ დონეზე უნდა სც-
ნოს, რომ 1991-92 წლების გადატრიალება იყო დანაშაული
სახელმწიფოს წინაშე, ენაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში
ფიქტიური იქნება საქართველოში სამართლებრივი სახელმ-
წიფოს არსებობა.

გარდა ამისა, ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს საქართველოში
მრეწველობის გაცოცხლების მიზნით საგადასახადო სისტე-
მაში დაუყოვნებლივ ცვლილებების განხორციელების და
საქართველოს განათლების სისტემის გადაარჩენისაკენ მიმ-
ართული დაუყოვნებლივი ზომების აუცილებლობა.

იმ ისტორიული განსაცდელის გამო, რომელშიც დღეს
საქართველო იმყოფება, აუცილებელია საქართველოს
ქრონოლოგიური თარიღის მითითებით, რომლის მიზანი იქნება

- საქართველოს ყველა კუთხის და მისი ცხოვრებისა
და მკურნალობის ყველა დარგის მონაცემთა გათვალისწინებით
იმ სასიცოცხლო პრობლემების აღრიცხვა და ობიექტური
გააზრება, რომელიც დღეს საქართველოს წინაშე დგას.

- კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის გზათა გან-
საზღვრა, ხელისუფლების კანონიერი გზით შეცვლის გზათა
ჩათვლით და დასაბუთებული რეკომენდაციების მიწოდება
ფართო საზოგადოებისათვის.

- მუდმივი ორგანოს შექმნა შემოსვენებულ ამოცანათა
გადაჭრისკენ მიმართული ეროვნული ძალისხმევის კოორდი-
ნაციის მიზნით.

კეთილი ნების ყველა ადამიანი, რომელიც საქართველოს
მოქალაქეა, ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგა-
ნიზაცია, რომელსაც მიზნად აქვს საქართველოს გამოყვანა
დღევანდელი კატასტროფული მდგომარეობიდან და რომელიც
იზიარებს ზემოაღნიშნულ პრინციპებს, მოწვეულია ყრილობის
ორგანიზაციაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს ყველა მოქალაქეს და ყველა პოლიტიკურ
ორგანიზაციას, განურჩევლად მისი პოლიტიკური პოზიციი-
ისა, შეუძლია თავისი აზრი წარადგინოს ყრილობაზე (ზუს-
ტად ფორმულირებული სახით) წერილობითი და ზეპირი
ფორმით.

ყრილობის ორგანიზაციის წესი დაუსტდება და სა-
ზოგადოებას ეცნობება.

საინიციატივო ჯგუფი

საბანა აკლავისკენა იწავს?! დავს იწყება ჯ.იოსელიანის და მის თანამოსამეთა სასამართლო პროცესი. ყოველდღე წაიკითხეთ გაზეთი „საქართველო“. ჩვეული პრინციპული გაუქმება ყოველდღიურად ეს ისტორიული სამსჯავრო



ზვიად გამსახურდიას მიერ საქაში გაგზავნილი დღეგაგამოუქვეყნებელი წერილი გაათავაპლოგის წინააღმდეგ « თანამედროვე ბალთაზარ კოსა » მესამე გვერდი

« ბიორბი ტანტურის მკვლელობა, რომელიც ხანმოკლე რუსეთის შეგვეთით შუასრულს, შეგარდნამეგან იმოდ » მეორე გვერდი

● ბაილი ალავეზარი

ჯაბა იოსელიანის

სასამართლოს პრელუდია ალექსიტ, სასამართლო აქტის...



1943 წლის 17 ივლისს ქალაქ თბილისის სახალხო სასამართლომ გაასამართლა ჯაბა იოსელიანი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლის შემადგენლობა გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით, მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1956 წლის 7 ივლისს ქალაქ ლენინგრადის სახალხო სასამართლომ გაასამართლა დანაშაულის ჩადენისათვის, რომლის შემადგენლობა გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მესამე ნაწილით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით.

სასჯელის მოხდის პერიოდში გაასამართლეს ნოვოჩერკასკის სახალხო სასამართლომ დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის 74-ე მუხლის მესამე ნაწილით, მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან დაემატა 1956 წლის 7 ივლისის სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საერთო ჯამში თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა 21 წლით.

თავურ მასხულია:

ბიორბი ჭანტურისა მკვლელობა, როგორც ნაწილობრივ რუსეთის შეკვეთილი უმარულა, შეპარდნაძეებს იმოდ და...

- თქვენ „მხედრონის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი ბრძანდებით, კონკრეტულად რამდენმა კაცმა შექმნით და პირველ თვეებში დაახლოებით რამდენი წევრი გყავდათ?

- „მხედრონი“ 1989 წელს შეიქმნა, მაშინ როცა ქვეყანაში ერთგვარი დაუცველობის ატმოსფერო სუფევდა. საჭირო იყო საზოგადოებისა და თვით სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ვინმეს ეზრუნა. სწორედ აქედან წამოვიდა ძმების აეთო და თენგიზ მანაგაძეების იდეა „მხედრონის“ შექმნის შესახებ. ორგანიზატორები დაახლოებით 10 კაცამდე ვიყავით. ამ პერიოდში უკვე გაირკვა, რომ ჯაბა იოსელიანიც ჩვენს აზრს იზიარებდა, ამიტომ ასაკისა და გამოცდილებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობაც მას ჩაუბარეთ.

პირველ თვეებში 50 კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება ვიყავით. ძირითადად იმ შემოწირულობებით, რომელსაც მოსახლეობა გვუჭყლიდა.

- რამდენი კაცია დღეს ცოცხალი შემქნელთაგან?

- თენგიზ მანაგაძე, ჯაბა იოსელიანი და მე. დაზუსტებით მინდა გითხრათ, რომ ძველი „მხედრონი“ პატიმრობაში დღეს ორი ადამიანი მხოლოდ - ნუკრი ჭელიძე და ჯაბა იოსელიანი. დანარჩენი იმ „მხედრონიელებისა“, რომლებიც

ამ ორგანიზაციის შექმნის დღიდან იმ აზრს ემსახურებოდნენ, რისთვისაც ჩვენ ის ჩამოვაყალიბეთ, მინიმუმ 80% ცოცხალი აღარ არის.

- თქვენი აზრით „მხედრონიელებიდან“ რამდენი დაიღუპა მტერთან ბრძოლაში და რამდენი ურთიერთგარეშე წარუშლეს?

- უამრავი ბიჭი დაიღუპა საზოგადოებაში, აფხაზეთში, სამეგრელოს „ჯვაროსნული ლაშქრობების“ დროს. ჩვენდა სამწუხაროდ, სამოქალაქო ომის პერიოდშიც. მოგვიანებით „მხედრონიელები“ კრიმინალი გაერთიანდა, ბევრი შემთხვევითი ადამიანიც მოხვდა, ამან ერთგვარი განუკითხაობა გამოიწვია, სპეც.სამსახურებმა კი ამით ისარგებლეს, ისინი შეაჯახეს და ერთმანეთი ახოცინეს.

- მქონდათ თუ არა „მხედრონიელებს“ დაუსჯელობის სინდრომი და იდგნენ თუ არა კანონზე მაღლა?

- ჩვენი ისტორია ერთ რომანს მახსენებს, სადაც მმართველი ჯარს შეგნებულად უხსნიდა აღვირს და აკეთებინებდა ათას უბედურებას, მერე კი თუ თვითონ ვინმე აღარ მოეწონებოდა, სჯიდა ჩადენილისათვის. ჩვენც ასევე გამოგვიყენეს, ვინც ფიზიკურად განადგურდა, მას რაღას უზამდნენ, დანარჩენები კი ციხეში ჩასვეს ნორმალურად და გახარებული ძველი

„მხედრონიელებიდან“ არაფერი მგეულება, ყველაზე კარგ მდგომარეობაში მე ვიმყოფები.

- თქვენ რა ურთიერთობა გქონდათ იმ ხალხთან, ვისაც დღეს ტერაქტისათვის ასამართლებენ?

- დიდი ხნის ურთიერთობა და ნაცნობობა განსასჯელთა შორის მხოლოდ ხაჩიშვილთან მქონდა, ამიტომ შემოძლია ეთქვა, რომ იმ ყველაფერს, რისთვისაც დღეს მას ასამართლებენ, არ ჩაიდენდა, ცხოვრების წესს რომ არ შეეცვალა. თუნდაც 29 აგვისტოს ტერაქტი ავიღოთ, გიორგი ჭანტურის მკვლელობა, რომელიც ხაჩიშვილმა რუსეთის შეკვეთით შეასრულა, შეეარდნაძემა ცივად და მიუხედავად იმისა, რომ შეეარდნაძეს იქნებ აწუხებდა კიდევ ჭანტურის მოშორება, ადრე თუ გვიან მაინც პასუხს მოსთხოვდა ხაჩიშვილს ამიტომ, როგორც ნებისმიერი ადამიანი იზამდა, მანაც შეეარდნაძის აფეთქება მოინდომა.

- ნუთუ ვერც ერთმა „მხედრონიელმა“ ვერ იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე?

- არანაირი დაძაბული ურთიერთობა „მხედრონიისა“ და შეეარდნაძეს შორის არ ყოფილა, ამიტომ ცოტა პოლიტიკური გათვლა იყო საჭირო, მაგრამ არცერთ მათგანს საამისო ჭკუა არ ეყო. ამიტომ ხელაღებით აკრიფეს ისინი.

- სასამართლოზე ნამდვილი

დამნაშავეები ისხდებიან განსასჯელის სკამზე?

- ვერ ვიტყვი, რომ მთლად უდანაშაულოები არიან, მაგრამ თითოეულ განსასჯელს გარკვეული რაოდენობა ბრალდებულისა მოეხსენება.

- როგორია თქვენი პროგნოზი?

- 29 აგვისტოს ტერაქტი რომ მოხდა - ფაქტია, ამიტომ ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულ ხალხს გარეთ არაფერი გამოუშვებს, 5 პიროვნებას შეიძლება აფეთქებას ბრალდება მოეხსენას, თუმცა სასჯელის გარეშე არცერთ მათგანს არ დატოვებენ. 1992-95 წლებში სადაც კი რაიმე უბედურება მოხდა, ყველაფერს მათ დააბრალდებენ, სამართლებრივ პროცესს ფორმალურად დაიყვანენ და ყველა დანაშაულში განტყვევების ვაცად „მხედრონიის“ წარმოგვიდგენენ. სასამართლო პროცესზე მოსახლეობა იმის მოწმეც განხდება, როგორც ჩქმალავეს დანაშაულის ჩამდენთა იმ 30% პროცენტს, რომლებიც დღეს მმართველ სტრუქტურებში გადანაწილდნენ, სასამართლო კოლეგია მათ მხოლოდ ძიებით დაუდგენელ პირებად გაგვაცნობს.

რაც შეეხება ჯაბა იოსელიანს, 15 წელს მიუსჯიან.

მსაჯობა ხათუნა მაღრაძე

კოვალენკო პროცესს მერ დაესწრება

„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ცენტრის“ მემორიალის წარმომადგენელი, ალექსანდრ სოკოლოვი მხოლოდ მას შემდეგ ჩამოვა თბილისში, როდესაც ჯაბა იოსელიანის პროცესი დაიწყება - აცნობა გეა-ს ადამიანის უფლებების დამცველმა, საქართველოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, გოგი ხოშტარიაძემ.

ხოშტარიაძე ინფორმაციით ცნობილი სამართალდამცავი სერგეი კოვალენკო პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან უკანასკნელ ხანს მისი ჯანმრთელობა გაუარესდა. (გეა)

ჯაბა იოსელიანი და მასთან ერთად 14 განსასჯელი სასამართლო პროცესისათვის მზადდება

„მხედრონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი და მასთან ერთად 14 განსასჯელი სასამართლო პროცესზე გამოსასვლელად, რომელიც დღეს, 10 საათზე დაიწყება, კოსტუმებს იზომებენ, - უთხრა პრაიმ-ნიუსს ერთ-ერთი განსასჯელის, ნიკა კვეხერელის საზოგადოებრივმა დამცველმა, არსამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები“ ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარემ, ნანა კაკაბაძემ.

განსასჯელებმა 29 ნოემბრის დილიდან გამოაცხადეს შემშილობა უზენაესი სასამართლოს პირველი დარბაზიდან მათთვის გამოხატებული გალიების გატანის მოთხოვნის „პატიმრები უარს აცხადებენ მათთვის ინდივიდუალურად დამზადებულ თეთრ გალიებში შესვლაზე, სადაც მათი დანაშაულები იქნება. სასამართლოს შეუძლია მესამე დარბაზში წარმართოს პროცესი, სადაც ერთი, საერთო ფართო გისოსებიანი გალია დგას. იქ ყველა პატიმარი დაეტყვა, - თქვა ნანა კაკაბაძემ.

ჯაბა იოსელიანს, „მხედრონის“ ფაქტიურ ხელმძღვანელს, გოგა ბეგლაშვილს, უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგას“ ყოფილ მეთაურს, ნიკა კვეხერელს, ამავე სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმ „აღფას“ მეთაურს, გურამ პაპუკაშვილს, „მხედრონიელს“, შს ყოფილ მინისტრს თემურ ხაჩიშვილს და სხვებს ბრალი ედებათ 1995 წლის 29 აგვისტოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის განხორციელებით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, გია ჭანტურის, გია გულუაშას, სოლოკო ხაბიშვილის მკვლელობებში და სხვა მიმე დაანაშაულებში.

წინასწარი მონაცემებით, სასამართლო პროცესზე დამსწრეთა დაშვება შედგენილი სიებით მოხდება. (პრაიმ-ნიუსი)

გახეთ „საქართველოს“ რედაქცია სამხიარს უცხადებს საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

მოდის გილიოტინა

ერთხელ გრიგოლ რობაქიძეს ირაკლი (კაკი) წერეთლისათვის მოუსმენია. გრიგოლს ყოველთვის იტაცებდა ორატორული ხელოვნება. ირაკლი წერეთლის ლექციაზეც ამისათვის მისულა. თავად აღიარებს: „უნდა გამოეტყვი, პირადად მე მისი ორატორული ფადონობა მინტერესებდა და ყურადღებაც პირველადვე მას მივაქციე“. (გაზ. „საქართველო“, 1917 წ., №222)

მაგრამ იმედგაცრუებული დარჩენილა. „ირაკლი წერეთელი საშუალო ორატორზე ნაკლები აღმოჩნდა. ზემოაღიწილებს (ფორესს, ბებელს, ლედეკუსს, მაკლაკოვს, ლენინს, ბუნაკოვს, ტროცის - აბ.) იგი სრულებით ვერ შეედრება“. - ასევე იგი არადა, საქართველოში დღესაც ხმა გაგარდნილი - ირაკლი წერეთელი დიდებული ორატორი იყო. შეიძლება ეს გრიგოლ რობაქიძის მეტად სუბიექტური შთაბეჭდილებაა და მთლად სამართლიანი დასკვნა არ იყოს, მაგრამ განსჯა შეუძლებელია, რაკი ირაკლი წერეთლის სიტყვა არასოდეს მოგვისმენია. მოუსმენლად იმსჯელო ორატორზე იგუვება, რაც ლაპარაკი იმ კერძის გემოზე, რომელიც არასოდეს მიგორთმევიდა.

ბევრი ლაპარაკი იყო ჩვენში გრიგოლ რობაქიძეზე, როგორც ორატორზე. ამას ყველა აღნიშნავს, ვისაც კი მისი ლექციები მოუსმენია. მან აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა სწორედ ლექციების კითხვით დაიწყო. მის ლექციებს არა მარტო საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ სახელოვნებოც, ორატორული კუთხით გრიგოლ რობაქიძე, თურმე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ლექციის ფორმას ძველ გაზეთებში საველეურსაც საკმაოდ ხშირად წაიკითხეთ - ფორმას მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე შინაარსს. საერთოდ მისი ლექციები ცხარე სჯა-ბაასის საგანი ყოფილა. სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლებოდა: მისი ლექციები მსმენელს იზიდავდა თემ-ატიკის სიახლითაც, პრობლემის ახლებური გაზრებითაც და გადაცემის ფორმითაც. გაზეთმა „თემმა“ აღნიშნა კიდევ: გრიგოლ რობაქიძეს „ხედა ბედნიერი წილი - ქართული აუდიტორიის შექმნა“ (1911 წ., №28). თუკი ლექტორმა აუდიტორია შექმნა, ეს იმას ნიშნავს, რომ დასახული ამოცანა პირნათლად შეუსრულდება. იმას კი ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვის მოსწონდა გრიგოლ რობაქიძის ლექციები და ვის - არა. ამქვეყნად არაერთხელ საქმე არ არსებობს, რომელსაც ერთდროულად მაქებარი და დამწუხრებელი არ ჰქავდეს. ბუნებრივია, გრიგოლ რობაქიძის ლექციებისადმი დამოკიდებულებაც ასეთივე იყო. ერთნი იწონებდნენ, მეორენი იწუნებდნენ. ეს მკაფიოდ ჩანს იმდროინდელ პრესაში. ჯერ იყო და გაიძახებდნენ, - ირინიულად შენიშნავს გაზეთი „თემი“, - „Робакидзе - Бок, ах! ах! ах! ერთხმად გაჰყვირიან - Робакидзе вышел из моды. თუმცა ამ სტატიის ავტორს სრულებით არ უყვირს დამოკიდებულება-განწყობილების ამგვარი ცვალებადობა. ეს დახასიათებელი თვისება საზოგადოებისა, რომელიც განსაზღვრულ კრიტიკურს მოკლებულია და ყოველ ქარის დაბერებაზე მზათ არის მიმართული და სიმპატიები გამოიხატავს, - დასძქეს იგი. იმ უამრავ წერელ-წერილ საპოლემიკო-საკინკალო წერილებში, რომელნიც მაშინ ქვეყნდებოდა, ჩემი აზრით, ყველაზე საყურადღებო სწორედ ეს სტატიაა. მას „გრიგოლ რობაქიძე და მისი ლექციები“ ეწოდება. დაბეჭდილია 1911 წელს გაზეთ „თემში“ (№28) და ხელმოწერილია ფსევდონიმით - „მან წილი“ (ალბათ, ინიციალებია გამოყენებული „მ“ და „წ“). სამწუხაროდ, არ ვიცით, ვისი ფსევდონიმია „მან წილი“. ის კი ხადად ჩანს, რომ გონიერი, საქმეში ჩახედული და ობიექტური კაცია (რამდენადაც აღმნიშნა შეუძლიან იყოს ობიექტური). გრიგოლ რობაქიძესაც პირადად იცნობს სთავადაც აღნიშნავს ამას და კარგად. გრიგოლის ყველა ლექციაც მოსმენილი აქვს საქართველოშიც და უცხოეთშიც.

მასსთვის ლექციები (ლაპარაკია ლაპაცოვში წაითქვით ლექციებზე - აბ.). რომელთაც პრინციპულად არას დროს არ ვუთხანმებოდი, მაგრამ რომელთა ლოდიკური სეკნა, მთლიანობა, დამყარებული შესაფერ კრუდიციაზე და შესანიშნავ მესსირებაზე, კარგ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემზე. და არა მარტო ჩემზე. ცოტათი თუ ბევრათ მიუდგომელი მსმენელი ყოველთვის დიდის ყურადღებით ისმენდა ხოლმე გრიგოლ რობაქიძის ლექციებს, რისიც უტყუარი დამამტკიცებელი იყო მუად სავე აუდიტორიები. - გეამბობს „მან წილი“. მაგრამ მას ნაკლებად მოსწონს ის, რომ გრიგოლ რობაქიძე ცდილობს ყოველ ავტორს, რომელზედაც კითხულობს, სულში ჩაწვედს მისი „მე“ თავის „მედ“ გაიხადოს და ამიტომ მის კრიტიკას ობიექტურება აკლავს: როგორ შეიძლება მიუდგომლად თავის თავის ვარჩევა. მისი კრიტიკა არის სუბიექტური ხასიათისა. ეს არის ამა თუ იმ მწერლის, ან კიდევ ფილოსოფოსის სულის (ხაზი ავტორს ეკუთვნის - აბ.) გადმოცემა, რამდენადაც ის მათ ნაწარმოებებში გამოიხატება. ამიტომ გრიგოლ რობაქიძის ლექციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ფსიხოლოგიური მხრით - თუ რამდენად წვედა „მე“ „მე“-ს, თუ რამდენად მთლიანია, სრული და მართალი გადმოცემა

პარდუ ანუ ბრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

პაპაი ბაქრაძე



ამა თუ იმ მწერლისა. ამ მხრით გამორჩეული ლექციები გრიგოლ რობაქიძის მართლა დიდ-მნიშვნელოვანი არიან, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც.

უკვე „მან წილი“ რამდენიმე ციტატას მოუყენებ, მაგრამ კიდევ უფრო ურცელი უნდა მოვიშველიო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პუბლიცისტი პიროვნება უფრო მკაფიოდ გაბმისდეს და მეორეც იმიტომ, რომ ის პუბლიკუმი დაეინახოს ცხადად, რომელსაც გრიგოლ რობაქიძე ესაუბრებოდა.

„უღმბობა სინამდვილე: ის მომავალს გზას უკვლევს და უფსკრულში ადევნს წარმავალი ცხოვრების უფარვის მომენტებს. ამ ნიადაგზე ხდება საშინელი ბრძოლა ორ განვითარების პრინციპისა: მომავლის შემოქმედების და წარსულის უარყოფისა აქ არის სიცოცხლე. აქ იჭედება კაცობრიობის ბედნიერება. აქ იბადება აზრი აღმნიშნავს. ბედნიერი არიან ხალხი, რომელთაც უკვე მიადრეფს ამ სავედურს კულტურული განვითარებისას, უბედურნი - ვისაც არ უყენია სიტკბოება აღმნიშნავის ბისათვის (ხაზი ყველგან „მან წილი“ ეკუთვნის - აბ.) ბრძოლისა. საკვირველი არ არის, რომ ნაციათ, რომელსაც ჯერ ვერ მიუღწევია ამ წერტილამდის, არ იცოდეს, თუ რა უნდა მას - როგორია მისი იდეალი, ან აქვს თუ არა მას საზოგადოთ რამე იდეალი, სულწარმეტყველს მისწრაფება. ასეთი ავთოქოფი საჭიროებს თავგანწირულ მოვლას თავის შედლების მხრით, მაგრამ „ტარილები“ გადაშენდნენ და „მკლავებებთან“ იქცნენ. დიას, ქართველი ხალხი ავთ არის, რადგან მას ნიადაგი, რომელსაც შექმლის მისი გამოფხიზლება და კეთილ გაზედაცენება, ჯერჯერობით არა აქვს ინტელიგენცია წარმოშობილი ასეთი ხალხისაგან უზო-უკვლად დაეხეტება, ხელთათმანებით იცვლის მიმართულებას სხვის გულში ფაურის ანდომებს ასეთ საჭირო დროს და უსაჭიროობით დაქანცული გაზეთის გამოცემაში და შიგ ქორიკანობაში ეძებს დამკამყოფილებელ საშუალებას (კარგად ჩაუფიქრდით ხაზგასმულ სიტყვებს - აბ.). ერთმანეთი გეპულს, გეგზობლება, რადგან, ერთი პუბლიცისტი აზრის არ იყოს, „იმპრესიონისტები“ ვართ ცხოვრებისა. ჩვენს შორის საჭირო აღმნიშნავს დიოგენის ფარნით ვეძებთ ისინი არიან, მაგრამ მათი ნახვა არ გვინდა. უკეთ რომ ვთქვათ, არ შეგვიძლია, რადგან კრიტიკულ მოუდგომლობას მოკლებული ვართ.“

ნუ მისაყვედურებთ გრძელი ციტატისათვის 1911 წელს დაბეჭდილი სტრიქონები ისე უღერს, თითქოს დღეს დაიწერა. მისი მკითხველისათვის მიწოდება აუცილებლად მიუზინიე. ესეც წვევლაკრულივანი კითხვაა - რა გეტყობს ისეთი, რომ ჩვენს თვისებაში არაფერი შეიცვალა? რატომ დარჩა ჩვენი ცხოვრება ერთ ადგილას გაყინული? მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე კაცობრიობის ისტორიაში ძირული ცვლილება მოხდა. რა არ გადაიტანა მსოფლიომ დარა დასკვნა არ გააკეთა, მაგრამ ყველაფერმა ამან ჩვენს გვერდით ისე გაიარა, რომ არც კი შეგვიძინე, თორემ სწავლა-

გაგებას ვინდა ჩივის.

უზო-უკვლად მოხეტიალე საზოგადოებაში აიყვანა, როგორც „მან წილი“ ამბობს, მოდის გილიოტინაზე გრიგოლ რობაქიძე (ჯერ ხოტბა-დიდებით ეთაყვანებოდნენ და მერე ზურგი უჩვენეს). მოდის გილიოტინა ძალიან ტყვედი და მოხლებილი (გნებაა, მისი მსხვერპლი არა ერთი და ორი მოღვაწე გამხდარა. გრიგოლ რობაქიძეს მომავალშიც ბევრჯერ მოუწევს მოდის გილიოტინაზე ასვლა როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში).

„მან წილი“ სიტყვით, მოუზადებული პუბლიკუმი ვერ მიხვდა იმას, რომ „საზღვარგარეთიდან გრიგოლ რობაქიძემ ჩამოიტანა თავის სამშობლოში გერმანელის შრომისმოყვარეობა და პრაქტიციზმი, ფრანგის სიფხილე და გამჭრიახობა და, როგორც ეს საკვირველი არ უნდა იყოს, რუსი ინტელიგენტების მისტიციზმი“.

ეს აზრი არსებითი მნიშვნელობის მქონეა არა მარტო გრიგოლ რობაქიძის საღვეტო მოღვაწეობის დასახასიათებლად, არამედ მთელი მისი შემოქმედებისა.

მოუხედავად ნაირნაირი მითქმა-მოთქმისა, ვისაც ჭკუა ჰქონდა, ყველამ დაინახა ის სიახლე, ის გარდატეხა, რაც გრიგოლ რობაქიძის ლექციებს მოჰქონდა. ამას ადასტურებს იმ მოვლენათა მოსწრე და მოწმე დაეით კლდიაშვილიც.

„ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით გრიგოლ რობაქიძის გრიგოლი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზე. ხალხი უზომო ესწრებოდა. დიდათ ეწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ვნატრობდით მოსწრებოდით ქართულ ენაზედ წარმოთქმულ ლექციას. ბევრი ამართლებდა გრიგოლს, ქართულათ არ შეიძლება იმის ლექციების გადმოცემა. ისე ვუცხოვეობდათ ამ ახლო წარსულშიც ქართულათ სიტყვის წარმოთქმა. საჯაროთ ქართულათ მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაბედავდა გამოსვლას; ჩვეულებათ იყო ხოლმე ბოლიშის მოხდა - ქართული არ მეხერხებოდა, ნება მიბოძეთ რუსულათ ვთქვა ჩემი სათქმელიო.“

ამგვარი იყო მდგომარეობა, როცა გრიგოლ რობაქიძემ იწყო გამოსვლა საჯარო ლექციებზე. როგორც ვთქვით, თავდაპირველში იგი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზედ. ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული გეტკოდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ ავინებდა, ქართულ სიტყვას არიდედა. გულდაწყვეტილებმა, ვარლამ ბურჯანაძის და გიორგი თუთბერიძის პირით (რომლებთან იდგა გრიგოლი) შეუთვალეთ - ლექციები ქართულათ ეკითხნა. მე მაშინ გრიგოლს არ ვიცნობდი პირადათ. გრიგოლმა შემოგვითვალა, რომ მალე ქართულათ ვიწვევ ლექციებს, და მოკლე ხანში კიდევ აასრულა თავისი დანაპირები. მასსთვის პირველი მისი საჯარო ქართულათ წაითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზედ.

საზოგადოება განსხვავებულ პლაცენტაში მოიყვანა ამ ლექციამ. გაზეთებში (რაც ქვეით ინსენებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას და განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ლექტორის საუცხოო ქართულს ბარათაშვილზედ ლექციას მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელ“-ზედ. შემდეგ აკაკიხედი. საზოგადოების აღტაცება თან და თან მატულობდა, ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამგონება მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაზული და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართული შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს.

ქუთაისში ცხოვრობდა იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე პაველ თუმანიშვილი, კაცი დიდათ განვითარებული, ქართულის კარგი მცოდნე. მოხუცი უსაზღვრო აღტაცებით მელაპარაკებოდა და გადმოცემდა იმ შთაბეჭდილებას, რობაქიძის ლექციებმა მასზედ რომ მოახდინეს მოხუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით.

- აი ჩვენი ლამაზი ქართული, რომელსაც ვიეიწყებთ და ფასს არ ეცდებთ. - გატაცებით ამბობდა მოხუცი.

ასეთ აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება.

- სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული - გაიძახოდა აღტაცებული კოტე ბაქრაძე. - ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე - გიბილაეს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. ვიძახოთ არ მეხერხება ქართული! - უხვირო რომ იქნები ვერაფერს ვერ მოახერხებ. ვაჟა-ფშაველასეც კი, რაღაც, მგონი გადააჭარბას. ნამეტანი მაღლა ასწია... თუმცა ესეცა - არ ვიცნობთ არც ჩვენ ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს! გადაგვარებაზედ ვართ მისული! ჩვენი თავის აღარაფერი გვეჯერა! ამისთანა ახალგაზრდები თუ მომრავლდნენ, ეგებ გამოცოცხლდეს ხალხი!

თამამად ვამბობ, რომ გრიგოლ რობაქიძემ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა თავის საჯარო ლექციებით. ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა შეენებით სავსეა, რომ მისით მშვენიერათ გამოითქმება აღმნიშნავი ყოველნაირი სულის კვეთება, გამონახება მისი აზროვნება. გრიგოლმა დაანახა ქართულ საზოგადოებას გადაგვარების გზაზედ შემდგარს ქართულის სიმშვენიერე, სიმძლავრე, დაანახა და გაიტაცა. მან დიდათ დააგადა ქართველი საზოგადოება. მას ვერ დაუფიქვებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწეს. (დაეით კლდიაშვილი - მემუარები, 1932 წ., გვ. 320-322. „მემუარების“ შემდგომ გამოცემებში ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ცენზურამ ეს სტრიქონები ამოშალა.)

მე-20 საუკუნის 10-იანი წლები ქართული მწერლობის განახლების წლებია. გრიგოლ რობაქიძე ამ განახლების აქტიური მონაწილეა.

ახალი ლიტერატურული ნაკადი ქუთაისიდან წამოვიდა. ქუთაისი კი, გრიგოლ რობაქიძის დახასიათებით, იყო „თავნება ქალაქი“. იგი უთუოდ გენიალური გამოეყენა მეტაფიზიკური „ობიექტულ შინისა“ და თან მეტად თავისებური. ის, რაც ნიცუმ თქვა საშუალო ელნიზე, მთლიანად შეესაბამება ქუთაისულ ობიექტულს. გენიალურობის თვისება გენიალურობის თვინიერ არსებითად სამშენიველის და ხასიათის ერთობ სახიფათო თვისებაა. ქუთაისი „ეპიგონალი“ თავისი არსით, იყო რაღაც ნამდვილად მშვენიერი და დიდი, ახლა კი მხოლოდ ლამობს იყოს ასეთი. და რაკი არ გამოვიდს, ბრახდება და ნიჰილისტური გაუფასურების ქვეყნა ეშმაკის უფარება ხელში. მთელში არ არის არც. სიმადლე და არც სიღრმე. არის მხოლოდ საშუალო და ბრტყელი. ამიტომ უმცირესი ქარაგმული გადაკურაც კი „მანძილის პათოსზე“ იწვევს ყრუ გაღიზიანებას აქედან ტრაგეკული გზნება: გაუთავებელი „მრავალკომიური“ - თავისებურად საშინელი გოდება რაღაცაზე და არა მზესხიფოსანი სიმღერა ჭეშმარიტად ტრაგეკულია ქუთაისი თავის „ობიექტულ შინისაში“ (შეიძლება ეს არის საზარელი სიმბოლო მთელი თანამედროვე საქართველოსი) და საჭიროა სოლოგუბის ნიჭი, როზანოვის გენიალური ყოველსგრძნობით რომ უმოწყალო სიმართლით გადმოიციეს ამ „ობიექტულ შინის“ მთელი კომპარი“. (ARS, 1918 წ., II-III, გვ. 46.)

„ცოცხერი ყანწების“ პირველსავე ნომერში ტიციან ტაბიძემ გრიგოლ რობაქიძე ახალი ლიტერატურული ორდენის თავკაცად გამოაცხადა. „სიმბოლინიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. საფიქრალად იყო, რადგან სხვაგან ასეთი აღვლევდა გამოიწვია სიმბოლიზმმა, ჩვენშიც მონახავდნენ ფიჩებს ინკვიზიციის ცქცხლის დასანთებლად, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს უთხრეს თავის დასტურს არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესტეტიკური კულტურა გრიგოლ რობაქიძემ. გრიგოლ რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია.“ (ცისფერი ყანწები, 1916 წ., №1, გვ. 22, 23.)

გრიგოლ რობაქიძემ თან მიიღო და თან არ მიიღო ეს თავიკაცობა.

ლინოლენობა ფსიქიატრიული კლინიკა და „ინტელექტუალური აბაზა“

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „ნეოლინობა“ საპროცედურული აუქციონის კარგა ხანია ჩაიარა, მისი ირრეული ენობათაღმდგმარ ცხრება ქონების მართვის სამინისტრომ აუქციონის შედეგები სააქციო საზოგადოება „ლინოს“ ნაწილში გააუქმა. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფმა ფსიქიატრიის ინსტიტუტმა მისიურა 15 მილიონად შეფასებული საწარმოს აქციების იაფად ყიდვა სახელმწიფო ორგანიზაციებს პრივატიზაციის შესახებ კანონით სახელმწიფო ქონების შექება ვერძალდა. საწინააღმდეგო შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ სახელმწიფოს ფული ერთი ჯობიდან მეორეში გადააღდებოდა.

სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროს ამ გადაწყვეტილებამ „ლინოს“ აქციების დანარჩენ მიყიდვლთა წილები გაზარდა. კერძოდ, უმსხვილესი ინვესტორის „ინტელექტუალური“ წილი 56%-მდე გაიზარდა. ნუგზარ ხუნდაძე, „ინტელექტუალური“ ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ბანკის სამწარმო პოლიტიკას კურ-

ირებს, თავის აღფრთოვანებას ვერ მალავდა: 140 ათას ლარად ათჯერ მეტი ღირებულების ქონება შეიძინა.

გეა-ს კორესპონდენტი „ინტელექტუალური“ სწორედ იმ დროს ეწვია, როდესაც ბანკის ხელმძღვანელებმა მთელი თავისი ინტელექტის გამოყენებით ფიქრობდა ეს უეცრად ციდან ჩამოვარდნილი სიმდიდრე როგორ გამოყენებინათ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ლინოლენობის წარმოება საქართველოში იმდენად ძვირი ჯდება წვედლული საზღვარგარეთიდან არის შემოსავალი, რომ კუადრატული მეტრის ფასი უცხოური მეტლახისა და პარკეტის ფასს აღემატება.

თუ ლინოლენობის წარმოება ძვირია, ხომ შეიძლება ხელშეუხებლად შენახული ტექნოლოგიური საზების გაყიდვა ამ კითხვაზე ნუგზარ ხუნდაძემ გეა-ს უპასუხა:

— დანადგარების დემონტაჟი, ტრანსპორტირება და ხელახალი მონტაჟი იმდენად ძვირი ჯდება, რომ მწარმოებლებს ურჩევნიათ ახალი ტექნოლოგიური საზები შეიძინონ.

— *ჰოდა, რას აპირებთ ახლა?*

— უნდა შემოვიაროთ უცხოეთის ქვეყნები ჩვენში, რა თქმა უნდა, ასეთ ძვირ ლინოლენობის არაინ იყიდის. ვეცდებით, იაფი ნედლეულის მომწოდებლები და ძვირი ლინოლენობის მყიდველები ვიპოოთ. კარგი იქნება, თუ ინვესტორებსაც გამოვებინოთ — საკმაოდ უიმედოდ დაასკენა ხუნდაძემ. იაფად შექენილმა „სიმდიდრემ“ „ინტელექტუალური“, როგორც ვხვდებით, პრობლემები მოუმატა, მაგრამ მისი გასაჭირი ამით არ ამოწურულა. საქმე იმაშია, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი პირდაპირ უკრძალავს ბანკებს „ფლობედეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის არაუმეტეს 10%-ის შესაბამის წილს“ მუხლი 10, პუნქტი 2). როგორც მოყვანილი ფაქტიდან ჩანს, ეს შეზღუდვა არცთუ ისე უსაფუძვლო ყოფილა იგი საშუალებას არ აძლევს უყარათო მენეჯერებს გაფლანგონ დამფუძნებელთა და აქციონერთა სახსრების ფულის ერთი შეხედვით მიმზიდველ პროექტებში დაბანდებით. (გეა)

დასაწყისი რიგის მოღს შიკობა?

ამბობენ, რომ თბილისის რიტუალების სასახლე მხოლოდ დიპლომატიური მიღებების ადგილად იქცა, რაც შეეხება ხელისმომწერის ცერემონიალს, მითქმა-მოთქმის თანახმად, ის აქ ტარდება, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვინც ან თვითონაა დიპლომატი, ან ასეთი ახლობელი ჰყავს და რაც მთავარია, აქვს საშუალება, გადაიხადოს, დაახლოებით 6000 ლარამდე. სხვაგვარად იქ თურმე, არავინ შეგიშვებს.

იქნებ, ასეთი მითქმა-მოთქმის შედეგად, რომ წყვილები — უმეტესობა ე.წ. „კონკას“ მიაა შურებს, რომელსაც წყვილების სიმრავლე, ალბათ, კიდევ უზარია, მაგრამ ფრთხილობს, ავარიული შენობა, რომლის ჭერიდანაც ცის კიდურიც კი მოჩანს, არ ჩამოინგრეს და უბედურება არ მოახდინოს. ამიტომ „კონკას“ დირექციის გადაწყვეტილებით, ხელისმომწერის ცერემონიალს ესწრებიან მხოლოდ წყვილები და მოწმები.

კომენტარი

„ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რიტუალების სასახლეში ხელის მოწერა ათასობით ღარი ჯდება, არსწორია“ — უთხრა სააგენტო „ელიზინოსი“ — ს კორესპონდენტს რიტუალების სასახლის ქორწინების განყოფილების გამგემ ციალა ჯოჯუამ. მისივე თქმით, მართალია სასახლეში მოიშალა წლების მანძილზე ტრადიციად დამკვიდრებული სხვადასხვა რიტუალი, მაგრამ, ქორწინების რიტუალს წინ არავინ უდგას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ყველას ერთნაირი შესაძლებლობა არა აქვს, რიტუალების სასახლის დირექციამ დააწესა ე.წ. „მინი რიტუალი“, რომლის ღირებულება 66 ლარია. უფრო შეძლებულთათვის კი ეს ბედნიერება 118 ლარი ჯდება — აღნიშნა ციალა ჯოჯუამ და დასძინა, რომ თუ 1990-91 წლებში სასახლემ რეგისტრაციაში გაატარა 2470 წყვილი, დღეის მდგომარეობით, რიტუალების სასახლეში რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობა მხოლოდ 469-ის ტოლია. შემოსავლის შემცირებამ გამოიწვია ისიც, რომ სასახლის შესახლად საჭირო თანხების გამოყოფის შანსიც შემცირდა. თუ დღეისათვის შენობის აუცილებელი შეკეთების ხარჯები არ გამოიხატება, ხელისათვის უფრო მეტს, ბუნებრივია, თავს ვეღარ მოუყრით“ — წუხს სასახლის დირექცია და იმედს ისევ იმაზე ამყარებს, რომ თბილისელები ყურს არ დაუდებენ ჭორებს რიტუალების სასახლეში ხელისმომწერის ცერემონიალის ზღარული ფასების შესახებ.

რაც შეეხება „დიპლომატიას“, ციალა ჯოჯუას განმარტებით, სასახლეში დროებით მართლაც დაბნეიდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობების საზოგადოება, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, სტუმრებსაც აქვე ღებულა, მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ რიტუალების სასახლეში არავინ შეგიშვებს, თუ დიპლომატიასთან პირდაპირი ან ნათესაური კავშირი არა გაქვს.

„შენობა, რომელიც ადრე ჩვენ გვეკუთვნოდა და, რომელიც მოსკოვისა და ლენინგრადის ქორწინების სახლების შემდეგ, სიღამაშით მესამე იყო ყოფილ „კაპეში“, 1991 წელს თეგის სიუჟამ ჩამოვარტეა და არასამთავრობო ორგანიზაციას სახელწოდებით „მსოფლიო ლაბორატორია“ გადასცა“ — განაცხადა სააგენტო „ელიზინოსი“ — ს კორესპონდენტთან საუბრისას ქორწინების სახლის დირექტორმა ნანა შუაკაძემ. მისივე თქმით, მუნციპალური საკუთრების არასამთავრობო ორგანიზაციისათვის გადაცემის ფაქტი თავისთავად დარღვევა იყო. ამიტომაც ქორწინების სახლის დირექციას მომართავს კიდევ პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილი კომისისათვის, რომელსაც ევალებოდა 1991-95 წლებში მთავრობის მიერ გამოცემული აქტების სისწორის შემოწმება. შუაკაძის ინფორმაციით, ქორწინების სახლს პასუხი ამ კომისისაგან ჯერაც არ მიუღია. „კომისიისათვის, იცოცხლეთ, კარგია, როცა თბილისის ძველ უბანში მექორწინელები გამოჩნდებიან, მაგრამ დედაქალაქის მასშტაბს ჩვენი შენობა როგორ გაუძლებს“ — წუხს ნანა შუაკაძე და დასძინა, რომ ორი წლის წინ მოწვეული კომისიის დასკვნის შედეგმა მთლიანად გადააჭარბა: აღმოჩნდა, რომ ქორწინების სახლი ნაყარ მიწაზე ყოფილა აშენებული უსაძირკველი. მერიის მიერ გამოყოფილი 20 ათასი ლარით საძირკველი ჩაეახსოთ, შენობის გამარების დანარჩენ ხარჯებს ბოუჯეტი დაეპირდა და გამოვიყვეს კიდევ 70000 ლარი, ოღონდ, ჩანს, მხოლოდ ქაღალდზე რადგან წელი მთავრდება, თანხა კი არ ჩანს“ — უთხრა სააგენტო „ელიზინოსი“ — ს კორესპონდენტს ნანა შუაკაძემ, რომელსაც დღესაც არ ტოვებს ობტინიზმი, რადგან იქნება, რომ იქნებ ძველი შენობის დაბრუნებას მაინც მიაღწიოს. მით უფრო, რომ მას შემდეგ, რაც იქ „მსოფლიო ლაბორატორია“ შესახლდა, შენობის კარები ღია არავის უნახავს. რაც შეეხება სტატისტიკას, ქორწინების სახლის მონაცემებით, გასულ წელს „კონკას“-ში 1700-მა წყვილმა იქორწინა. დღეის მდგომარეობით კი წლეულს კონკასში ხელი მოაწერა სულ 1500-მა წყვილმა. რაც შეეხება ფასებს, ნანა შუაკაძის თქმით, ხელისმომწერას ყველგან ერთი ფასი აქვს და ის სულ 12 ლარი ჯდება. (ელიზინოსი)

ნათიკე ბრალს სდებს

„ბაერთიანებული რესპუბლიკური პარტის“ ლიდერის, ნოდარ ნათაძის განცხადებით, ის, რაც დღეისათვის პარლამენტმა ვერ შეძლო, 1990 წელს გუმბარაძის პარლამენტმა მოახერხა, როცა ოსების მიერ ცხინვალში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები გააბათილა.

ნათაძის თქმით, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, თვითონ საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, როცა ცხინვალს სამხრეთ ოსეთად იხსენიებს ამასთან ერთად, შეეარდნაძის დიდი შეცდომაა იმ განცხადებაზე ხელის მოწერა, რომელიც ე.წ. სამშვიდობო ჯარების ცხინვალის ტერიტორიიდან გაყენების ოსურ მხარეს საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტად ცნობის და რუსეთის „მორტგორცების“ გასაყენად მისი, როგორც თანასწორუფლებიანი ელემენტის თანხმობას ითვალისწინებს — აღნიშნავს ნოდარ ნათაძე და აცხადებს, რომ თუ საქართველო დაუშვებს თავის ტერიტორიაზე ცალკე სახელმწიფოს — ოსეთს, ეს იქნება საქართველოს ღალატი, რადგან სხვა რომ აღარაფერი ითქვას, მომავალში ბუნებრივია, აქტუალური გახდება ორი ოსეთის გაერთიანების საკითხი.

ნათაძის თქმით, ეს ნონსენსია. „აბსურდის ამბიციები, რომლითაც ცდილობენ მსოფლიო თავის სიმართლეში დარწმუნონ, სწორედ ამ პრინციპიდან გამოდის, რომ ოსებისგან განსხვავებით, მათ არ გააჩნიათ თავისი ქვეყანა“ — აცხადებს ნოდარ ნათაძე და პრობლემის მოგვარების რეალურ გზად ხელაქს იმას, რომ პარლამენტმა ცხინვალის საკითხის თაობაზე, განცხადების სახით, თავისი ოფიციალური პოზიცია დააფიქსიროს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციებს და ფართო საზოგადოებას კარგად გააზრებულ კონკრეტულ გეგმასთან ერთად შესთავაზებენ. ეს უნდა გახდეს პრობლემის მოგვარების რეალური საფუძველი — აღნიშნავს ნათაძე. (გეა)

ჰაიილ საბუევი: ჩინეთი არ ვაბაჟს და არს შიილვაა გეგაჟღეს ჩიიანს საპროცედურს ნინააღაღა

ჩინეთი იმედით ყოველთვის სამხრეთს უყურებდა და არა ჩრდილოეთს, ჩვენ არასოდეს დაგვიგებავს და არც ვგებავს რაიმე არამეგობრულ აქციებს ქართველ ხალხთან მიმართებაში, რომელთაც ათასწლოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, — უთხრა პრაიმ-ნიუსს ექსკლუზიურ ინტერვიუში სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „ჩინენ-პრესის“ დირექტორმა, ჩინეთის პირველი ვიცე-პრემიერის მოვლადის უდუგოვის მოადგილემ ჰაიილ საბუევიმ, მამუკა არეშიძის გამოსვლის კომენტარებისას.

საქართველოს პარლამენტის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობების მაკოორდინირებული ჯგუფის ხელმძღვანელმა, დეპუტატმა მამუკა არეშიძემ, დამოუკიდებელი ტელეარხის „იბერის“ ეთერში გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველოს ემუქრება ეკონომიკაში ჩინეთის ექსპანსია, რაც ძალხედ საშიშია იმ პირობებში, როცა ქვეყანაში ამდენი კორუმიპირებული მოხელეა. არეშიძის თქმით, ჩინეთმა მსგავსი ექსპანსია უკვე განახორციელა რუსეთში, მაგრამ იქ ისეთი ზარალი არ მიუყენებია, როგორის მიყენებაც საქართველოსთვის შეუძლია.

საბუევის თქმით, შესაძლოა არეშიძე გარკვეული წრეების გაყენების ქვეშ მოექცა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოსა და ჩინეთის შორის ურთიერთობების გაუარესებით.

„ნიშანდობლივი“ უწოდა საბუევი იმ ფაქტსაც, რომ ქართველი პარლამენტარის განცხადება გაისმა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ანატოლი კულიკოვის განცხადების თანწყობილად. ნაღრიკში კულიკოვმა განაცხადა, რომ იქ ჩინეთის 8 დივერსიული ჯგუფი დააკავეს და სწორედ ჩინეთიდან მომდინარეობს ომის საშიშროება კავკასიაში.

როგორც პრაიმ-ნიუსს განუცხადა საბუევიმ, ჩინეთზე ბოლო დროს გაზიარებული თავდასხმები გამოწვეულია რუსეთის უკმაყოფილებით, აშშ-ში პრეზიდენტ მასხადოვის ვიზიტისა და საერთაშორისო იზოლაციის გარღვევის გამო.

საბუევიმ აღნიშნა, რომ ჩინეთის მხარე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს გროზნო-თბილისის მარშრუტით მშენებარე გზაზე, რომელიც მისი ქვეყნისთვის ერთადერთი ფანჯარა იქნება გარე სამყაროში გასასვლელი. (პრაიმ-ნიუსი)

ტერმინი და მისი შინაარსობრივი მხარე

სამაჩაბლოის საბჭოს თავმჯდომარის, გელა გელაძის განცხადებით, მიუღებელია არა მხოლოდ ბოლო პერიოდში დაკონკრეტებული ცნება „სამხრეთ ოსეთი“, არამედ თვით ტერმინი — „ცხინვალის რეგიონი“, ესაა ქართლის ჩრდილოეთ ტერიტორია, რომელსაც სამაჩაბლოელები დაზუსტების მიზნით, ჩრდილო ქართლს ვუწოდებთ“ — აღნიშნავს იგი და მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, ხმარებაში სწორედ ამ ტერმინით განისაზღვროს კონფლიქტის ზონა.

ამასთანავე, იგი პროტესტს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ შეეარდნაძემ და ჩიბიროვმა ხელი მოაწერეს პატიმრების გაცვლის რეზოლუციას, რადგან საერთაშორისო სამართლის ნორმებით ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებს შორის. გელაძის თქმით, აფხაზეთთანაც კი ამ მოვლენას „ტყვეთა გაცვლა“ ეწოდება და როცა საქართველო თავისივე ტერიტორიაზე დაპირისპირებულ ეთნიკურ უმცირესობას პატიმრების გაცვლაზე თანხმდება, ეს აღმაფრთხილებელია. (გეა)

სამაჩაბლოის საბჭოს თავმჯდომარის, გელა გელაძის განცხადებით, მიუღებელია არა მხოლოდ ბოლო პერიოდში დაკონკრეტებული ცნება „სამხრეთ ოსეთი“, არამედ თვით ტერმინი — „ცხინვალის რეგიონი“, ესაა ქართლის ჩრდილოეთ ტერიტორია, რომელსაც სამაჩაბლოელები დაზუსტების მიზნით, ჩრდილო ქართლს ვუწოდებთ“ — აღნიშნავს იგი და მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, ხმარებაში სწორედ ამ ტერმინით განისაზღვროს კონფლიქტის ზონა.

ამასთანავე, იგი პროტესტს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ შეეარდნაძემ და ჩიბიროვმა ხელი მოაწერეს პატიმრების გაცვლის რეზოლუციას, რადგან საერთაშორისო სამართლის ნორმებით ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებს შორის. გელაძის თქმით, აფხაზეთთანაც კი ამ მოვლენას „ტყვეთა გაცვლა“ ეწოდება და როცა საქართველო თავისივე ტერიტორიაზე დაპირისპირებულ ეთნიკურ უმცირესობას პატიმრების გაცვლაზე თანხმდება, ეს აღმაფრთხილებელია. (გეა)

დღისი — კულისი

29 ნოემბერს, დღისი 9 საათზე, ზუგდიდის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუდგენელმა ოთხმა ნიღბიანმა ბორტმომქმედმა ყანაღური თავდასხმა განახორციელა ვალუტის გადამცველ პუნქტზე და გაიტაცა 5000 აშშ დოლარი. (გეა)

29 ნოემბერს, დღისი 9 საათზე, ზუგდიდის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუდგენელმა ოთხმა ნიღბიანმა ბორტმომქმედმა ყანაღური თავდასხმა განახორციელა ვალუტის გადამცველ პუნქტზე და გაიტაცა 5000 აშშ დოლარი. (გეა)

ყალბი დოლარების გეჭდვის ქართული ნოვატორული ხერხი

ბოლო ორი კვირის განმავლობაში თბილისის ვალუტის გადამცველი პუნქტებიდან ექვსი ყალბი ასდოლარიანი კუპურაა ამოღებული, რომლებიც აქამდე მსოფლიოსთვის უცნობი ტექნოლოგიით არიან დამზადებული.

ეროვნული ბანკის მთავარი ექსპერტის, მამუკა ხუციშვილის განმარტებით, მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით, ყალბი დოლარის დამზადების ოცი სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხი არსებობს.

ყალბის მოღვაწე, დელისის მეტროსთან და დიდუბეში ამოღებული ბანკნოტები დაბეჭდილია ოფსეტური წესით. ბეჭდვისას გამოყენებულია არცთუ ისე მაღალი ხარისხის ქაღალდი და არც ბეჭდვის ხარისხია შესაფერისი. ყალბ ბანკნოტზე არ გაირჩევა ვარსკვლავები და ზოგი შტრიხი ყველა ამოღებული კუპურა 1996 წლის სერიის ნიმუშისაა.

ხუციშვილის აზრით, გამოცდილი სპეციალისტი ადვილად გაარჩევს ყალბ კუპურას. (გეა)

ბოლო ორი კვირის განმავლობაში თბილისის ვალუტის გადამცველი პუნქტებიდან ექვსი ყალბი ასდოლარიანი კუპურაა ამოღებული, რომლებიც აქამდე მსოფლიოსთვის უცნობი ტექნოლოგიით არიან დამზადებული.

ეროვნული ბანკის მთავარი ექსპერტის, მამუკა ხუციშვილის განმარტებით, მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით, ყალბი დოლარის დამზადების ოცი სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხი არსებობს.

ყალბის მოღვაწე, დელისის მეტროსთან და დიდუბეში ამოღებული ბანკნოტები დაბეჭდილია ოფსეტური წესით. ბეჭდვისას გამოყენებულია არცთუ ისე მაღალი ხარისხის ქაღალდი და არც ბეჭდვის ხარისხია შესაფერისი. ყალბ ბანკნოტზე არ გაირჩევა ვარსკვლავები და ზოგი შტრიხი ყველა ამოღებული კუპურა 1996 წლის სერიის ნიმუშისაა.

ხუციშვილის აზრით, გამოცდილი სპეციალისტი ადვილად გაარჩევს ყალბ კუპურას. (გეა)

ბაზში „საქართველოში“ გამოქვეყნებულია ჩემი ამომწურავი პასუხი კითხვაზე, მართალია თუ არა, რომ ქალბატონი თანხები, ბატონი ირწვრეთელი და მე „ფლიანსში“ ვიმყოფებით ქალბატონ მანანა არჩაძესთან, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საქართველოში. ეს პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ მე რამდენიმე წელიწადია თვალთ არ მინახავს ქალბატონი მანანა არჩაძე და არ ვიცი, ქალბატონი თანხები ან ბატონ ირწვრეთელი უნახავთ თუ არა იგი. სხვა აზრი ქალბატონ მანანა არჩაძის მიმართებაზე პოლიტიკასთან მე არც მქონია და არც მაქვს ამგვარად, არაერთი ფორმულირება იმაზე, ქალბატონ მანანა არჩაძის მოღვაწეობას პოლიტიკასთან კავშირი აქვს თუ არა აქვს, მე არ მეკუთვნის ასეთი აზრი მხოლოდ ინტერვიუების, რედაქციების, სხვა უსწრისადის ან ვინმე „შემკვეთის“ მიერ შეიძლება იყოს შექმნილი სიტყვათა თვითნებური კომბინირების გზით.

სამაგიეროდ მე მაქვს გარკვეული აზრი იმაზე, რით არის ხელსაყრელი საქართველოს მმართველი დღევანდელი ჯგუფისათვის ქალბატონ მანანა არჩაძის მიერ გამოთქმა იმ მოწოდებისა (სუიკი იგი გამოითქმის მე არ ვიცი, დღემდე იგი გამოთქმულა თუ არა), რომ

ა) მომავალ არჩევნებში ქართველი ერის პატრიოტულმა ნაწილმა მონაწილეობა არ მიიღოს და

ბ) არ მოხდეს ყველა ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციების - როგორც ძველი „მრგვალი მაგიდა“ და მისი შემადგენელი პარტიების, ისე სხვა მიმართულების ორგანიზაციების - ერთიანი ფრონტით გამოსვლა (არა მხოლოდ არჩევნებში, არამედ მოქმედების უფრო ფართო სპექტრში) საქართველოს გადასარჩენად იმ ხელისუფლებისაგან და იმ კურსისაგან, რომელიც დღეს არსებობს.

ეს მოწოდება (ვიმეორებ: თუ იგი გამოითქმის) ხელსაყრელია დღეს საქართველოში გაბატონებული დიქტატორისთვის, რომელიც ამ გზით გაიგრძელებს თავის ხელისუფლებას და, ამგვარად, მისაწვრთბს საქართველოში იმ დამხმარეული პროგრამის ბოლომდე გაატარებას, რომლის ცალკეული ელემენტების განხორციელების მოწვევაც ვართ.

ახლა გახ „ახალ თაობაში“ (24.XI.97) დაბეჭდილია დამეფაროშვილის წერილი სათაურით „შემიძლია დავამტკიცო ნოდარ ნათაძის გადატრიალებაში მონაწილეობა“ (დიდი ასოებით), რომელსაც მიწერილი აქვს „ამბობს ზაზა დავითაია“ (სატარა ასოებით). მე არ ვიცი, ვის მოეთხოვო პასუხი ამ ცილისწამებისათვის, ბატონ ზაზა დავითაიას, რომელსაც ამ თემაზე ინტერვიუს ართმევეს, ქალბატონ დამეფაროშვილს, რომელიც ამ პასუხებს ბეჭდავს საკუთარი კომენტარით, თუ გახვთ, რომელიც ისე აქვეყნებს ამ სათაურს და ამ ტექსტს, რომ არ კითხულობს, მასში მსჯელობის უნარტყევის კანონები დაცულია თუ არა (ისეთ ფუფუნებზე, როგორც, ცა ჭეშმარიტება, აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არაა). მაგრამ ვინც არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ამ ტექსტზე, იგი დაბეჭდილია და მე იძულებული ვარ, მის დებულებებს პასუხი გავცე.

პირველი დებულება. ინტერვიუს რესპოდენტი (ზ.დავითაია) ამბობს: „ბატონი ნოდარი ქალბატონ მანანას გარშემო გავრთიანებულ ძალებს ან მიწოთალოდ, ან ნახევრად წითლად მიიჩნევს“. არ არის მართალი. მე არსად შევხებოვარ თემას „ქალბატონ მანანას გარშემო გავრთიანებულ ძალებს“ შესახებ და არც ვიცი, ვინ არიან ისინი.

მეორე დებულება. რესპოდენტი წერს, რომ მე „თურმე“ ეროვნუ-

ლი ძალების გავრთიანების საფუძველად ზუთი პრინციპი მიმანია, „თუმცა“ „ახალ თაობაში“ მხოლოდ ოთხი პრინციპია დაბეჭდილი“. დიახ, მართალია, ზუთი პრინციპი მიმანია იმ მინიმუმად, რომელიც აუცილებელია, რათა ის, ვინც მათ იზიარებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ელემენტად ჩაითვალოს, ხოლო „ახალ თაობაში“ თუ მხოლოდ ოთხი დაბეჭდილი, ამის პასუხი „ახალ თაობას“ უნდა მოეთხოვოს და არა მე, ან, ამ პრინციპების ფორმულირება გახ „საქართველოში“.

პირველი. საქართველომ არ უნდა დათმოს და საქართველომ არ დათმობს აფხაზეთს, რომელიც ქართველი ერის ისტორიული ერთეული ტერიტორიაა. კონკრეტულად, საქართველო ვერ დაეთანხმება და არ დაეთანხმება დანარჩენ საქართველოსთან აფხაზეთის დაკავშირებას კონფედერაციული ან მისი მიმსგავსებული წესით.

მეორე. საქართველომ არ უნდა

ცილისწამება პრობრასულ გაზეთში? ნოდარ ნათაძე

დაუშვას, არამედ სრული კატეგორიულობით უნდა აღკვეთოს სამუდამოდ საქართველოში „ოსეთად“ წოდებული ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულის შექმნის მცდელობა, რადგან ეს უდრის საქართველოს ტერიტორიის დაკარგვას ახლო მომავალში, ერთის მხრივ, და საქართველოს დანარჩენი ნაწილის დაშლას ახალ ეროვნულ ავტონომიებად, მეორეს მხრივ.

მესამე. საქართველომ უნდა გააუქმოს თავისი წევრობა სტა-ში, ანუ ადაღინოს თავისი სრული დამოუკიდებლობა, რომელიც შეუთავსებელია იმ წევრობასთან.

მეოთხე. საქართველომ უნდა დაუყოვნებლივ გაიყვანოს რუსეთის ჯარი თავისი ტერიტორიიდან, რათა მოცილოს ომის მუდმივი საშიშროება გარეთ და რუსეთის სპეცსამსახურთა მიერ ორგანიზებული სისხლიანი დესტაბილიზაციის მუდმივი საფრთხე შიგნით.

მეხუთე. საქართველომ ოფიციალურ დონეზე უნდა სცნოს, რომ 1991-92 წლების გადატრიალება იყო დანაშაული სახელმწიფოს წინაშე, ეინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ფიქტიური იქნება საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა.

რესპოდენტის აზრით, ამათგან „თითოეული ცალ-ცალკე რომ განხილვით, ერთ დასკვნამდე მივალთ: ბატონი ნოდარი, მის გარშემო გავრთიანებული ძალები თანამონაწილენი არიან იმ პროცესებისა, რომლის წინააღმდეგაც ახლა ილაშქრებენ“. როგორ გამოჰყავს რესპოდენტს ამ პრინციპებიდან ასეთი დასკვნა, - რომ მე და ჩემი თანამოაზრენი „თანამონაწილენი“ ვართ საქართველოს ნგრევის ზემოხსენებული პროცესებისა - გაურკვეველია. იმ პროცესების „თანამონაწილენი“ რომ ვყოფილვართ, ეს მისთვის **ინათათივე** უეჭველია, ჩემს მიერ გამოქვეყნებული პრინციპებიდან კი იგი მხოლოდ იმას ტყობილობს ახალს, რომ დღეს, თურმე, ამ პროცესების წინააღმდეგ ვარ. მაგრამ თუ ასეა, მაშინ მან თავისი დასკვნა სწორედ საპირსაირო ფორმით უნდა ჩამოაყალიბოს მან უნდა თქვას: „ნოდარ ნათაძე და მისი თანამოაზრენი ახლა ილაშქრებენ იმის წინააღმდეგ, რისი თანამონაწილენიც იყენენ“, ანუ ადრევე ცნობილად უნდა აღნიშნოს ის, რომ „თანამონაწილენი“ ვყოფილვართ, ახალ ამბად კი ის, რომ ახლა იმის წინააღმდეგ გამოვიდვართ, რა-შიც „ეთანხმონაწილენობით“. ამ მეორე, გამართულ ფორმულირებას, ცხადია, ის ნაკლებ აქვს რესპოდენტისთვის, რომ იგი ევლარ მისცემს

მას საფუძველს სათაურში გამოტანილი ცილისწამებულური განცხადებისათვის. „შემიძლია დავამტკიცო“ (ზაზა ჩემია ნ.ნ.) ნოდარ ნათაძის გადატრიალებაში მონაწილეობა“. ამიტომაც იგი ისევე იმ პირედს არჩევს, როგორც, რომლითაც რესპოდენტი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს - ანუ ისეთი მტკიცება, როცა ავტორი ერთმეორეში ურევს მსჯელობის სუბიექტს (იმას, რაზეც გამოვთქვამთ აზრს) და პრედიკატს (იმას, რასაც გამოვთქვამთ სუბიექტის შესახებ). იხლოვების ნებისმიერი ელემენტარული კურსი), მაპატოს მკითხველმა, მხოლოდ იმათი პრივილეგიაა, ვინც ორჯერ ორს ვერ ანგარიშობს ასეთ ადამიანთა არსებობა, რომლებიც ორჯერ ორს ვერ ანგარიშობენ, თუთ ბუნებას დაუწესებია. მაგრამ თურნაღისს ვერ დაკვირვა კვირი, როცა ამ კატეგორიის ადამიანებს ორაკუნის ფუნქციას აკისრებს (ასე ამბობს ესა და ეს კაცი), გაზეთის რედაქცია კი ვერ განათავისუფლდ-

ბა იმ მოვალეობისაგან, რომ მიტანილ მასალაში ელემენტარულ აზრობრივ გამართულობას მოკლებული ტექსტები გამოცხრილოს და ისინი მკითხველს არ შესთავაზოს. გავყვეთ რესპოდენტს და მის ინტერვიუს. მათი ნაშრომის მესამე დებულება შემდეგია: „იგი (ნოდარ ნათაძე) კონკრეტულად რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანას მოითხოვს საქართველოდან. განა შეიარაღებულმა გადატრიალებამ, რომლის პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობაც ისინი თავად ბრძანდებიან, არ შეუწყო ხელი, რუსეთის საოკუპაციო ჯარს (რომელსაც ეს სტატუსი კანონიერმა ხელისუფლებამ მიანიჭა) მოხსნოდა და კვლავ მეგობრული ჯარის სტატუსი მინიჭებოდა? განა ისინი არ იყენენ იმ ხელისუფლებას, რომელმაც საქართველო დსთ-ის შემადგენლობაში შეიყვანა?“

მე რომ „პირდაპირი ან ირიბი მონაწილე“ ვყოფილვარ 1991-92 წლების გადატრიალებისა, ეს, როგორც უკვე ვთქვი, ცილისწამება გახლავთ. მე რომ არ მომწონდა და ვერ მოვიწონებდი სსრკ შინაგანი ჯარისთვის ცხინვალში წესრიგის დამყარების დავალებას საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ, ან მიწის კარგად დარიგების უნიკალური ისტორიული შანსის ხელიდან გაშვებას მის მიერვე, ან მთავრობის სახლის წინ პლაკატის „ძირს ჯებუში“ გამოკერის დაშვებას, ეს ცხადზე ცხადია, რომ მომეწონებინა, ჩემი ქვეყნისა და ვალის მოვალეობა ვიქნებოდი. მაგრამ ამის თქმა „გადატრიალებაში მონაწილეობას“ არ ნიშნავს და, მაშასადამე, რუსის ჯარისათვის „საოკუპაციო ჯარის სტატუსის“ მოხსნასაც (სხვათა შორის, ეს სამარცხენო ოპერაცია პარლამენტს არ განუხორციელებია, იგი ადამსრულებელმა ხელისუფლებამ გააკეთა ე.შეგარდნადის თაოსნობით). ხოლო 1992-95 წლების პარლამენტმა, სადაც ეროვნული მიმართულების დეპუტატები უმცირესობაში იყავით, ჩემი წინადადებით 1993 წლის 1 ივნისს შეკეთეს (იურიდიულად უფრო ზუსტი) დოკუმენტი მიიღო რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნის თაობაზე, სახელდობრ, მან დაადგინა, რომ ამ ჯარის დგომას საქართველოში არანაირი იურიდიული საფუძველი არა აქვს, რომ მისი აქ ყოფნა დაპყრობისა და ანექსიის აქტის მექანიკური გავრცელებაა და რომ უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი საქართველოდან უნდა გავიდეს არა უგვიანეს 1995 წლის ბოლოს. მართალია, თაღლითმა სპიკერმა ავტოუაქემ შემძლი ამ დადგენილების ტექსტის არდაბეჭდა პარლამენ-

ტის ორგანოში (დაიბეჭდა მხოლოდ ამ დადგენილების ნომერი „125“, მაგრამ ტექსტი გამოქვეყნებულია ორჯერ გახ „საქართველოში“ და ერთხელ „სეოზოდნაია გრუზიაში“ რუსულ ენაზე. მისი ნახვა ყველას შეუძლია, ახლა გამოვტოვოთ მეოთხე დებულება, ვინაიდან იგი ყველაზე მთავარია, და პირდაპირ მეზუთეს, უკანასკნელს მივადგეთ. რესპოდენტი წერს:

„მე შემიძლია არგუმენტირებულად დავამტკიცო, რომ ბატონ ნოდარს მიღებული აქვს შეიარაღებული გადატრიალებაში მონაწილეობა, რაც შემდეგში ელინდება: მაშინ, როცა კანონიერი ხელისუფლება მისი არსებობის ძალიან მძიმე დღეებს ითვლიდა, ბატონი ნოდარი კანონიერი ხელისუფლების პარლამენტში დესტრუქციულ ფუნქციას ასრულებდა და ქუჩის ოპოზიციას სტიმულს აძლევდა“ (ის, რასაც რესპოდენტი მომაწერს, ცხადია, შეიარაღებული გადატრიალება არ არის

მაგრამ შემდეგ იგი განაგრძობს: „გარდა ამისა, ბატონი ნოდარის გარშემო დარაზმული იყო შეიარაღებული რაზმი „იმედი“, რომელსაც ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული გადატრიალებაში. თუ ბატონ ნოდარს სურს, მისი გაკოტრებული პოლიტიკური ხაზიანი მიწასთან არ გასწორდეს, უნდა მოითხოვოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, მაგრამ ამას არ გააკეთებს რადგან უშინია ხელისუფლების აღდგენისა, რადგან პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა აქვს მიღებული მის დამხობაში“. მეც უკვე დამიწერია და ჩემზე უფრო კომპეტენტურ კაცსაც - „იმედის“ შემქმნელსა და თავეაცს დ.ხომასურიძესაც დაუწერია, რომ „იმედს“ არც გადატრიალებაში, არც სამოქალაქო ომში მონაწილეობა არ მოუღია. „იმედი“ გეარდიის შექმნისათანავე მთელი შემადგენლობით შევიდა გეარდიაში, რომელსაც პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ დანიშნული ოპოტიკური მეთაურობდა. იგი წამოვიდა თბილისის ზღვიდან იქ გეარდიის გაყვანიდან ორი კვირის შემდეგ, ანუ გადატრიალებამდე თვე-ნახევრით ადრე. იმაზე, ვინც „იმედლიდან“ წამოვიდა და მას თბილისის ზღვიდან არ წამოჰყვა, „იმედი“, ცხადია, პასუხისმგებელი არ არის მათი ბედი და საქმიანობა ისეთივე ტრაგიკული ფურცელია ჩვენი ისტორიის შემდგომი წლების მანძილზე, როგორც ყველა სხვა ქართველი ახალგაზრდას ბედი და საქმიანობა, ვისაც კი იარაღი ეჭირა და ფორმა ეცვა, არც მეტი, არც ნაკლები. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც რესპოდენტის მიერ „იმედის“ ხსენება ჩემი გადატრიალებაში მონაწილეობის მიზნით მოკლევადიან და ძალიან უსინდისო ტყუილი გახლავთ.

ახლა მივუბრუნდეთ მეოთხე და უმთავრეს დებულებას რესპოდენტის კითხულობს: „თუ ნოდარ ნათაძეს გადატრიალება „დანაშაულებრივ მოუდენდა“, მაინც, რატომ არ მოითხოვს ამ მოვლენის აღმოფხვრას?“ და აქვე განმარტავს, რა მაინცა მას ამ მოვლენის „აღმოფხვრად“.

ბოლოს და ბოლოს რატომ მიანიხი მას (ნათაძეს) რომ მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ ჩამოთვლილი 4 პრინციპის გარშემო უნდა გაერთიანდეს ეროვნული ძალები და ვინც არ გაერთიანდებდა, ან „წითელია“, ან „მოთამაშე“ სიკეთესა და ბოროტებას შორის? ეს ადასტურებს აზრს, რომ ბატონი ნოდარი აღიანსში იმყოფება ამ ხელისუფლებასთან, რბილად რომ ვთქვათ, იგი საგარეშო იდგენის სწორედ ამიტომ ჭჭირდება მას 1991-92 წლების გადატრიალების მხოლოდ

შეფასება. მას ეზინება **„საქართველოში“** ხელისუფლების აღდგენისა“ (ზაზა ჩემია ნ.ნ.)“ საზგანაშლი სიჭყვიბი ნათლად გვიჩვენებს, რისთვისაა, ანუ რომელი აქტიური პოლიტიკური მიზნისთვისაა დაწერილი ან, თუ გნებავთ, შეკეთილი ეს ინტერვიუ ცნობილია, რომ დღეს არაერთი, ბატონ რესპოდენტზე ბევრად უფრო სერიოზულად მოაზროვნე ადამიანი იმ აზრისაა, რომ საქართველოს ეროვნული ძალების პოლიტიკური მოთხოვნა უნდა იყოს კანონიერი ხელისუფლების (ე.ი. 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს აღდგენა აქვერ გაყვებით იმის განხილვას, რამდენად შეესაძლებელია (იურიდიულად ან პრაქტიკულად) ამ საბჭოს ხელისუფლების აღდგენა და რამდენად მომგებანია ეს სუიკი შესაძლებელი აღმოჩნდა) საქართველოს ინტერესებისათვის იურიდიულად (თუ ვისმე ჰგონია, რომ, როგორც ამას წინათ ითქვა ერთ-ერთ შეკრებაზე, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შემთხვევაში ჩვენ შევარდნადის მიერ აღებულ ორმილიარდლოდარიან ვალს ჩამოგაწერენ, ეს, რა თქმა უნდა, ილუზიაა. ამ ნახიჯს ძალიან დეტალური და მაღალკვალიფიციური გათვლა უნდა. მაგრამ ახლა ამაზე არაა საუბარი. საუბარი იმაზეა, რომ დოზუნგი „აღვადგინოთ კანონიერი ხელისუფლება“ დღეს **გამყოფია** იმ პოლიტიკურ ორგანიზაციათა და ხელმძღვანელობის შორის, რომელთა ერთობლივი მოქმედებასაც საქართველოს ინტერესები მოითხოვს და რომელთაც „ეროვნული ძალები“ ან „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ სახელით ეიცნობთ (ნაწილი ამ ძალებისა იზიარებს მას, ნაწილი არა). ზემოთ მოყვანილი ზუთი პრინციპი კი (რესპოდენტს რომ რატომღაც ოთხზე დაჰყავს **საერთო ყველასთვის, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა, სამართლებრიობა და კეთილდღეობა უნდა** ამავე დროს ეს ისეთი პრინციპებია, რომელთაც ვერ მიიღებს (თავისი რუსეთისადმი დაქვემდებარების გამო) ის მმართველი ჯგუფი, რომელსაც საქართველო დღეს მრუდვ ზოთი მიჰყავს ამგვარად, ეს პრინციპები **საქართველოს ეროვნული დემოკრატიული ძალების გამეორიანებელი და ამავე დროს ანტიეროვნული ძალებისგან გამმიფხვრავი პრინციპებია** და ამ პრინციპთა დისკრედიტაცია, მათი შეკეცის ან, პირიქით, მათი ახალი პრინციპით „შეესუსის“ მცდელობა იმას ემსახურება, რომ ეროვნული ძალების ერთიანი ფრონტით მოქმედება ჩიშვალოს.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამგვარი მიზანდასახულობის ინტერვიუს მკითხველს ერთ-ერთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულების მქონე პოლიტიკური პარტიის სახელით სთავაზობენ, და არანაკლებ სამწუხაროა, რომ ამას დემოკრატიულ გაზეთად ცნობილი თავისუფალი გაზეთი აკეთებს.

P.S. არა მხოლოდ სამწუხაროა, არამედ საწენიცაა ამავე გაზეთში უსრულდისტური ვითიკის უხეში დარღვევა, როცა უსრულდისტისთვის (ქალბატონი ამიროტაძე) კონფიდენციალურად მიცემულ განმარტებას კითხვაზე, თუ ვინ არის ჩემი ზემოხსენებული ოპონენტი, აქვეყნებენ როგორც ჩემი ინტერვიუს ნაწილს, მიუხედავად ჩემი კატეგორიული გაფრთხილებისა უსრულდისტისადმი, მე ამ კითხვის პასუხს არ ვაძლევდი-მეთქი“. მკითხველს ვთხოვ გაითავისოსწონოს, რომ გახ „ახალ თაობაში“ (23.XI.97) ჩემს ინტერვიუში ბატონ ზაზა დავითაისთვის მიცემული დახასიათება არ არის ის, რისი უფლებაც მე შემიძლია მიეცე ჩემს თავს საგაზეთო პუბლიკაციაში.

ლაზარეს აღდგინება

იღბს ბული ქალაქსა ზედა ოსშიგარი ასდოდა ყოველ დუქანსა და სარდაფს, რესტორანსა და სახაშეს ქეფებში, მდინარეებად იღვრებოდა დენის, არაყო... დუღუკი და ქალები და იყო ერთი აურზაური. ყველა ყიდულობდა ან ყიდდა არა, არ ყიდულობდა, - იპარავდა არა, არა, კიდევ უფრო ზუსტად რომ ეთქვათ, - ეზიარებოდა. რა ენადღებოდათ, რა, თავიანთი ხომ არ იყო, - სახელმწიფოსი იყო. არადა, სახელმწიფოს ჭერი უკვე ჭრიალებდა, მრავალი ბზარი გაუნდა და თავზე ჩამოსამხობად იყო მზად. მაგრამ დაბრმავდა ყველა, ევრაყინ ხედავდა მოახლოებულ უბედურებას, კიდევ უფრო მეტად იფლანგებოდა და იფლანგებოდა მომავალში სიღატაკის მომტანი სახელმწიფო ხაზინა. კი მაგრამ, რა სჭირთ ამ ადამიანებს, რა სენი შეეყარათო და სიუხვის უბედურება სჭირთო, და ქვეყანას რაღა ჰქვიანო, - და ადრე თუ ეხლაო? არა, ეხლაო, თორემ ადრე მომავლის იმედად იყო ცნობილი და აი ეხლა რა ჰქვიანო? აბა, რა ვიცით, შენი ჭირიმი, უსახურს რაღა სახელი უნდაო, მაგრამ ერთი კი ცხადია პრინციპების არა მქონე არიან და აკი ამიტომაც შეყარათ სიუხვის უბედურებაო...

კიდევ დიდხანს გაგრძელდა ლხინი და ღრეობა და ბზარები კი იზრდებოდა და ბოლოს მეხვიით დაატყდა თავს მოქვიანებს გიგანტური შენობის გიგანტური თაღი.

მოფრინავდნენ ძირს, დამხობილი კედლების აგურები და იყო მსხვერპლი დიდი და იდგა კენესა და გმინეა იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ესოდენ გრანდიოზული ღრეობა იდგა.

...რა მოხდაო, და დუღაბმა ვეღარ დაიჭირაო, და რა დუღაბი იყო ასეთი გამოფიტულიო, და ქრთამი და ნაცნობობაო, ხინკალი და ქაბაბიო, მწვადი და ღვინოო და ასეთი დუღაბი ხომ იცით, - მხოლოდ გამოფხიზლებამდგეო კი მაგრამ, თავიდან რაღას ეჭირათ და იცოცხლეთ, თავიდან ძლიერი იდგებით იყენენ შედუღაბებულებიო.

აბა, ეხლა რა ჭირი დაემართათო და უდმერთობამ უწითათო. თუ დუღაბში ღვთისნიერება არ ურეგია, დროთა ვითარებაში კედლები ინგრევაო და რატომ? იმიტომ, რომ როცა სულიერი დაცემა შეუძინებლად შეუჩნდება ადამიანთ გონებას, შიგადამოკიდებულებათა ბზარები ჩნდებაო და ეს ნიშნები ეპოქათა მონაცვლეობის დროს შეიმჩნევიან განსაკუთრებით აშკარად. თუ წარსულში დანგრეულ ტაძრებს (მკითხველო წაიკითხე, - ეპოქებს) გადავხედოთ, დაინახავთ, რომ ყოველ ადორინებასა და აყვავებას, ხრწნა და ნგრევა მიუძღვის წინა და ეს აღორძინება და აყვავება მაშინ მოხდება, თუ დუღაბი ძლიერიაო, ანუ თუ სული განახლდაო. ჭეშმარიტი აყვავების ძიება პრინციპების, ანუ დუღაბის კომპონენტების განახლებას ითხოვს და მაშინდა დამკვიდრდება განახლებული

მშენებლობაო. სულის ჭეშმარიტი განახლების გარეშე ევრაყინს ვერ ააშენებთო...

და იყო ერთი დიდი ნაგავრილობა, და იდგა აქოთებული სუნი. აქა იქ ძველი აგურებით ცდილობდნენ ხუხულები აშენებას და დუღაბი კი ძველი იყო, - ისევ ის ოქრო, ქრთამი, ქურდობა, ლუფაქაბაბი და... და ტაძარი კი არავის გამოსდებოდათ, - ვინც კი ეცადა ისე დაეგრათ, დამთავრებაც კი ვეღარ მოასწრეს, ან როგორ უნდა აეშენებინათ, ყველა აგური ხომ ძველი საროსკიპობისა და დუქნების, ციხეებისა და ბინური სასტუმროების ნანგრევებისა იყო და არც ერთი მათგანი ახალი არ ყოფილა. ახალი მხოლოდ ეხლა ყალიბდება და არამცთუ გამოშვარი არ არის ჯერ, ჯერ არც კი გამოშვარდაო.

მთელი ქვეყანა ძველი გადმონაშთია, ყველას სქლად ადევს შუბლზე ძველი დუღაბი, - ქრთამი, ნაცნობობა, კარიერიზმი, მწვადი, ხინკალი... თუ შეეერთება გადაწყვიტეს, - პრინციპების განახლების გარეშე ისევ საპრობილე გამოვა და საპრობილე აბავის რაღად უნდა დღესო.

ბევრი, ძალიან ბევრი სიმამხინჯე დაიბადა ძველ ნანგრევებზე, რამეთუ, - მოგვხსენებათ ძველი დუღაბის უფარვისობა, - არაფერი სიკეთე არ გამოვა, თუ აგურს (ოხ, როგორ მინდა ვთქვა ღია ტექსტით, - ადამიანს!) სქლად ადევს შუბლზე ძველ უმსგავსეობათა იმპერიის ნოსტალგია. და დაიღალა შემოქმედი, და შეისმინა აგურთა კენესა, გმინეა და ეედრება, რომელთაც სურდათ ტაძრად დაწოება, ერთობად ქვეყანა და მოუხმოს ხუროთმოძღვარს - ლაზარეს. მოვიდა იგი და მძლავრად დასცხო აგურებს ჩაქუჩი შიგ შუბლში და შუბლზე სქლად ნადები ძველი დუღაბი შემოაცადა ყველას.

ხო! რა ვასცილდა აგურებს (ვაიმე, ვაიმე, - ეს ალფეორიაა - ადამიანებსს), ბიკინი, კოლოტკა, პრეზერვატივი, ჰომოსექსუალიზმი, ლესბიანობა, ბარიგობა, დანოსი, სუკი, არაკაცობა, ქრთამი, მუხანათობა, მზაკერობა, კარიერიზმი, არაკომპეტენტურობა, მფლანგელობა, ნაციონალიზმი, იმპერიალიზმი... აღარაფერს ვიტყვით სუბუქაბაზე, ღვინოსა და დროსტარებაზე... იცოცხლეთ, იმდენი კუპატი და შებოლიდი, ლუდი და ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოები შემოაცადა ლაზარემ აგურებს.

და იდგა ერთის მხრივ განახლებულ, უმუშევარ აგურთა გრანდიოზული გროვა და მეორეს მხრივ სიბინძურე, რის გამოც გაიწირა არც მაინცადამაინც დასანგრევი შენობა.

აღადგინა ლაზარემ ყოველი აგური... არა, ყოველი არა. სამწუხაროდ, ზოგი გატყდა, ჩაქუჩის დარტყმას ბედისწერას ვერ გაუძლო, ანდა კიდევ აგური მთელი იყო, მაგრამ ზემოთხსენებული დუღაბი ისე ახლოს იყო აგურის ბუნებასთან, რომ აგურს (უკვე იცით, - ადამიანს) ზედ დააკედა და არანაირი საშუალება არ იყო მისი განწმენდისა. ლაზარემ ისინი უყოყმანოდ ნაგავში მოისრო-

რაპროზა

შეურაცხყოფა და ცილისაგება?! საქართველოში

ამ სათაურით გახეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა კხარაძის გამოხმაურება ჩემს წერილზე „ენციკლოპედიური პიროვნება“ („საქართველო“, 19 ოქტომბერი, 1997 წელი).

ჩემი წერილით არავისთვის ენება არ მიმიყენებია, საგაზეთო წერილში მხოლოდ მცირე ნაწილის თქმა მოხერხდა იმის საჩვენებლად, თუ როგორ არაეთიკურად და უპატივცემულად მოექცნენ „ალატის“ წარმომადგენლები პირველ რიგში თავიანთ თავს და შემდგომ ვახუშტი ბატონიშვილს, როცა საიუბილეო კომიტეტმა სახელდობრ ისინი 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში და ნამდვილად ღირსნი (ეკონომისტები, ისტორიკოსები თუ გეოგრაფოსები) კულისებს მიღმა დარჩნენ.

მე მართალი ვიყავი, როცა გამოვედი კრიტიკული წერილით და ვთქვი, რომ იუნესკოს დინტერესების სფეროში მოხვედრილი დიდი ქართველი მეცნიერები 300 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო სხდომა თბილისში ზედალიაშვილის სახელობის

ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შენობაში ისე ჩატარდა, რომ ოფიციალურად, „შაღალი სეიტა“ სახელმწიფოსი მას არ დასწრებია. რომ დარბაზი ცარიელი სავარძლებით იყო საესე (იხ. გაზეთ „რესპუბლიკა“, №1 ჯუმბერ ჯიშკარიანი, - ცარიელი სავარძლები).

ჩემი გულისწყრომა ბატონ დავით უკლებას მიმართ სხდომის დამთავრებისთანავე გამოეხატე ჩემამდე კი პროფესორი თამაზ ბერაძე გამოვიდა დუკლებას კამათში გამოსვლის დამთავრებისთანავე და აღნიშნა, რომ არ ეთანხმება პროფესორს, რადგანაც ვახუშტი ბატონიშვილი იყო როგორც დიდი ისტორიკოსი, ისე გამოჩენილი გეოგრაფოსი და კარტოგრაფი.

არავინ უარყოფს, რომ საიუბილეო კომიტეტმა ბევრი იღვაწა თუბილისათვის, მაგრამ ნაღვაწმა შედეგში ვერ ჰპოვა გამოხატულება.

სატივისცემით
იაკობ ახუაშვილი
საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

პროსპორდი

1	2	3	4	5	
6			7		
		8			
		9			
10	11	12		13	14
		15		16	
17				18	
			19	20	
21	22			23	24
		25		26	
		27			
28				29	

თარაზულად: 6. მაზარა; 7. რძის ნაწარმი; 8. ინგლისის საინფორმაციო სამსახური; 9. აზიის სახელმწიფო; 10. წიწვოვანი ხეების თავთავის მსგავსი ყვავილედი; 13. ძიძა; 15. რუსი მწერალი; 17. თრატორულ სელონებს დაუფლებული გამოჩენილი მოღვაწე; 18. სამედიცინო ცეცხა; 19. ყოფაქცევის ნორმები, ზნეობა, მორალი; 21. გარეული ცხოველი; 23. დახრილი, აღმავალი; 25. პარიზის კომუნის მონაწილე; 27. შავი ზღვისპირა საკურორტო ქალაქი; 28. ისტორიული ძეგლი საქართველოში; 29. ქართული ყურნალი.

შემოკლები: 1. ძველი ქართული სპორტული თამაში; 2. წელიწადის თვე; 3. რიგითი მეზღვაური; 4. მოგერცხლისდრო ლითონი; 5. მკონხელი ცხოველი; 11. აპარატი, რომელშიც გაერთიანებულია რადიომიმღობი და ფირსაკრავი; 12. ესპანეთის ისტორიული ოლქი; 13. რუსი საბავშვო მწერალი; 14. ქართული მწერალი; 15. აღდიუმას ნაწარმოების პერსონაჟი; 16. პირველი მარქსისტულ-ლენინისტური ვახუთი; 20. მდინარე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით; 22. ნახევარი გამარჯვების მიმანიჭებელი ილითი კარატი; 24. ყურძნის წვენი; 25. ფილმის „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“ პერსონაჟი; 26. აზიის სახელმწიფო.

თამაშა მათავარიანი

მთავარი რედაქტორი: ნოდარ ბრიგალაშვილი

ბალაუნაგი: რედაქტორი: 93-20-36, რედაქტორის მოლაგბილა: 93-18-41

რედაქციის მისამართი: თბილისი, თაყვისუზაგის მოვალანი, აუზივის ძ. 5
ბაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444